

დამტკიცებულია
სტუ-ს
წარმომადგენლობითი
საბჭოს მიერ
8 აპრილს 2009 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სწავლების დეპარტამენტის

დებულება

2009 წელი

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „სტუ“) სწავლების დეპარტამენტი (შემდგომში „დეპარტამენტი“) წარმოადგენს სტუ-ს ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.2 დებულება განსაზღვრავს სწავლების დეპარტამენტის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. ფუნქციები

სწავლების დეპარტამენტის ფუნქციებში შედის სასწავლო პროცესის მართვის, მეთოდური უზრუნველყოფის, აკადემიური სტანდარტების და კვალიფიკაციის ამაღლების, სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის და სხვა საკითხები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2.1 განათლების სფერო

- 2.1.1 მონაწილეობა სტუ-ს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი აკადემიური განათლების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სწავლების, სწავლისა და შეფასების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაში, გავრცელებაში, დანერგვაში და შემდგომ სრულყოფაში.
- 2.1.2 სტუ-ში განათლების ყველა საფეხურის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის სათანადო მეთოდური უზრუნველყოფის შემუშავება.
- 2.1.3 მონაწილეობა ერთიანი საბაზისო მომზადების პრინციპით კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად უმაღლესი პროფესიული განათლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საკვალიფიკაციო დახასიათებების შედგენაში, კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვისათვის საჭირო მეთოდური მასალების მომზადებასა და შესაბამისი კონცეფციების შემუშავებაში.

- 2.1.4 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დიპლომის და დიპლომის დანართის – Diploma Supplement (DS) დანერგვისათვის საჭირო სამუშაოების კოორდინაცია აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების სამართლებრივი ცნობის მისაღწევად.
- 2.1.5 ახორციელებს აკადემიური ჯგუფების ფორმირების საუნივერსიტეტო პოლიტიკას.
- 2.1.6 კოორდინაციას უწევს სტუდენტთა მობილობის პროცესს. ქმნის სტუ-ს სტუდენტების მონაცემთა ბაზას.
- 2.1.7 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის უზრუნველსაყოფად, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების და განათლების დონის ამაღლების მიზნით საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარება და ერთობლივი პროექტების დამუშავება.
- 2.1.8 სტუ-ს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება სხვადასხვა ფორმებთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, აგრეთვე დასაქმების ხელშემწყობი ცენტრების ორგანიზაცია, დასაქმების ფორუმების (jobPR) ჩატარება.
- 2.1.9 ინსტიტუციონალური და პროგრამული აკრედიტაციების გავლისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში საჭირო სამუშაოების ჩატარება.
- 2.1.10 აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერებისა და მასწავლებლების კარიერული ზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფა და პერსონალის ორიენტირება ცოდნის მუდმივ გადრმავებაზე.
- 2.1.11 სწავლების უახლესი ტექნოლოგიების შემოღებისათვის საჭირო დონისძიებების გატარება.
- 2.1.12 სასწავლო პროცესის მენეჯმენტის, კრედიტების ტრანსფერებისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) დანერგვის შედეგების და უმაღლესი განათლების დონის ამაღლების პრობლემებზე საუნივერსიტეტო სემინარებისა და კონფერენციების ჩატარება.
- 2.1.13 დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით მიმართულებების და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი აკადემიური დატვირთვის

განგარიშების და განაწილების შემოწმება შესაბამისი დებულების მიხედვით.

- 2.1.14 მოწვეული მასწავლებლების დანიშნისა და განთავისუფლების ბრძანების პროექტების მომზადება, მიმართულების და დეპარტამენტების მიხედვით მათი სიის (რაოდენობის) შედგენა; ყოველთვიურად დეპარტამენტებიდან წარმოდგენილი მოწვეული მასწავლებლების მიერ ჩატარებული საათების შედარება გეგმიურთან, მათი დაანგარიშება, გაფორმება და აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილებაში გადაცემა; სასწავლო წლის ბოლოს არქივის შექმნა.
- 2.1.15 სასწავლო წლის განმავლობაში მოწვეულ პედაგოგებზე მოთხოვნილი ცნობების გაცემა.
- 2.1.16 სწავლების ყველა საფეხურის საკვალიფიკაციო კომისიების დოკუმენტაციის შემოწმება და მომზადება ბრძანებისათვის.
- 2.1.17 აკადემიური ჯგუფების მეცადინეობების ცხრილების და აკადემიური პერსონალის დატვირთვის ტაბელ-კალენდრების შედგენა.
- 2.18 დეპარტამენტის საქმიანობა ეფუძნება კვლევაზე ორიენტირებული განათლების მიღების ხელშეწყობას.
- 2.1.9 დეპარტამენტი სტუ-ს სხვა სტრუქტურებთან კავშირში, თანამშრომლობს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის გზით საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში, აგრეთვე ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში მათი მონაწილეობის და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შესამუშავებლად
- 2.2.0 დეპარტამენტი, სწავლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აწარმოებს მუდმივ განახლებად სამუშაოებს (რეალური დროის რეჟიმში) შემდეგი საცნობარო სახის ინფორმაციის მისაღებად:
- საერთაშორისო ფონდების სტიპენდიები და გრანტები (შესაბამის რესურსთა მოკლე აღწერილობა და საკონტაქტო მონაცემები)
- საგრანტო დაფინანსების პორტები (ქართული და საქართველოში წარმომადგენლობის მქონე საერთაშორისო საგრანტო ინსტიტუციების ნუსხა და საკონტაქტო მონაცემები)

- ინდუსტრიულ ლიდერთა ანტიკრიზისული გამოცდილების ქრონოლოგიური მიმოხილვა – მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროექტების განხორციელების კონცეპტუალური თავისებურებანი
- აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, სწავლების და ინოვაციათა სტრატეგიული პოლიტიკა 2007-2013 წლებში.

3. დეპარტამენტის სტრუქტურა

- 3.1 დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პირი (დეპარტამენტის უფროსი) სტუ-ს აკადემიური შემადგენლობიდან.
- 3.2 დეპარტამენტში სექტორების, მთავარი, უფროსი და სპეციალისტების რაოდენობა და თანამდებობრივი განაკვეთები განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო განრიგის შესაბამისად.
- 3.3 დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი.
- 3.4 დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1 დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
- 4.2 დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.